

Capatect ArmaReno 700

მინერალური მშრალი ნარევი გამოყენების ფართო სპექტრით



პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

მაღალი ხარისხის მინერალური მშრალი ნარევი, რომელიც გამოიყენება Capatect-ის ფასადის სისტემებში როგორც: თბოსაიზოლაციო ფილების წებო, არმირების შემქმნელი საგრუნტავი ბათქაში, დეკორატიული ფაქტურების მისაღებად და მოსაპირკეთებელი დამასრულებელი ფენა. ასევე გამოიყენება, როგორც - შესარემონტებელი ხსნარი ძველი შებათქაშებული მზიდი ზედაპირებისათვის, ადჰეზიის შემქმნელი ბათქაშის თხელი ფენა გლუვი ბეტონის, პენოპოლისტიროლის XPS/R და ხე-ბოჭკოვანი ფილებისთვის და როგორც ბათქაში ფილცირებისათვის (ცოკოლის იმ ადგილების გარდა, სადაც ხვდება წყლის შეხვეები).

თვისებები

- ატმოსფერული მოვლენებისადმი მედეგი და წყალამრიდი
- მაღალი ორთქლდიფუზიურობა (გამტარიანობა)
- სუსტი დაჭიმულობა ბოჭკოვანი დანამატების ხარჯზე
- ძალიან კარგი სამუშაო თვისებები მანქანური გამოყენებისთვის
- გამოყენების ხანგრძლივი დრო გახსნილ მდგომარეობაში
- ჰიდროფობიზაციის გამუმჯობესებელი დანამატები, მარტივი დამუშავება და კარგი ადჰეზიის უნარი

შეფუთვა

25 კგ ტომარა

ფერი

თეთრი

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ და მშრალ ადგილას. დაიცავით ყინვისაგან და პირდაპირი მზის სხივებისგან. გაუხსნელი შეფუთვა ინახება საწყობში დაახლოებით 12 თვე.

ტექნიკური პარამეტრები

- სიმკვრივე: დაახლოებით 1,6 გ/სმ³ DIN EN 1015-6-ის მიხედვით
- თბოგამტარობა: λ_{10} , მშრალი, mat $\leq 0,82$ W/(m·K) P=50%
 λ_{10} , მშრალი, mat $\leq 0,89$ W/(m·K) P=90%
- დიფუზიური რეზისტენტობის ფაქტორი μ (H₂O): ≤ 25 DIN ISO 7783-ის მიხედვით
- კომპრესიის ძალა: კლასი CS III DIN EN 998-1-ის მიხედვით
- ადჰეზიურობის სიმტკიცე 0.08 N/mm²
- აალება: A2-s1, d0 (არა აალებადი) DIN EN 13501-1 მიხედვით
- წყლის შეწოვის კოეფიციენტი: $w \leq 0,1$ კგ/(მ² სთ/2) DIN EN 1062-3-ის მიხედვით
- შემკვრელის ბაზა: მინერალური შემკვრელები DIN EN 197-1 მიხედვით სინთეზური ფისოვანი დისპერსიული ფხვნილი
- კაპილარული წყლის შთანთქმა: $\leq 0,2$ კგ/(მ² სთ/2) DIN EN 1015-18-ის მიხედვით კლასი WC 2 DIN EN 998-1 მიხედვით

პროდუქტის N.

700



გამოყენება

ზედაპირის მომზადება

ზოგადი მითითებები:

ზედაპირი უნდა იყოს თანაბარი, მშრალი, მყარი, მზიდუნარიანი და ადჰეზიის დამაბრკოლებელი ნივთიერებებისგან თავისუფალი. ფანჯრის რაფებს და სხვა შეკიდულ ელემენტებს საჭიროა აეკრას წებოვანი ქაღალდი. შუშის, კერამიკული, ლაქირებული, ანოდირებული ზედაპირები, ასევე კლინკერის აგურის და ბუნებრივი ქვის წყობა აუცილებლად უნდა დაიფაროს საფუძვლიანად.

მარცვლის ზომით < 2.0 მმ, შესაძლოა საჭირო გახდეს საბაზისო ზედაპირის დამატებითი წინასწარი დამუშავება.

სარემონტო ხსნარი:

მინერალური ზედაპირები (P II, P III ჯგუფის ბათქაშები) საჭიროების შემთხვევაში უნდა გაიწმინდოს მზიდი ზედაპირის მისაღებად..

მსუბუქი ქვიშაწაყარის მქონე მინერალური ზედაპირები (P II, P III ჯგუფის ბათქაშები) გასუფთავდეს და დაიგრუნტოს Sylitol® RapidGrund 111-ით.

ძველი, მყარი, არაცარცვალი დანაფარები უნდა გაიწმინდოს მაღალი წნევის მქონე წყლის ქავლით.

მცირედ ცარცვალი ზედაპირი უნდა გაიწმინდოს მაღალი წნევის მქონე წყლის ქავლით და შემდგომ დაიგრუნტოს Sylitol® RapidGrund 111-ით.

თხელფენოვანი ადჰეზიური ბათქაში:

ბეტონის ზედაპირი საჭიროების შემთხვევაში გაიწმინდეთ. პენოპოლისტიროლის ფილების (XPS) გამოუსადეგარი, ან გაყვითლებული ადგილები გაშლიფეთ და გაასუფთავეთ მტვრისგან. HWL ფილებს მოაცილეთ თავისუფალი ნაწილაკები.

დატანის მეთოდი

თბოსაიზოლაციო ფილების შენევა:

პენოპოლისტიროლის და მინერალური ბამბის ფილები:

დაიტანეთ ახალი ნარევი ზოლოვანი-წერტილოვანი მეთოდით (პერიმეტრზე დაახ. 5 სმ.-იან ზოლებად, ფილის შუაში - 3 მოსმა დაახ. ხელის გულის ზომის). ნების საკონტაქტო ფართობი ზედაპირთან უნდა იყოს არანაკლებ 40%. მინერალური დამათბობლის ფილები საჭიროა დაიგრუნტოს უშუალოდ შენეების წინ შესაწებებელი მხრიდან ნების ხსნარის მეშვეობით.

მინერალური ბამბის ლამელი:

მთელი ზედაპირისთვის შენევა:

უშუალოდ შენეების წინ საჭიროა ლამელის შიგნით, შესაწებებელი ზედაპირის დაგრუნტვა ნების ხსნარით, კბილანა ქაფის მეშვეობით. კბილანების ზომა დამოკიდებულია ზედაპირის თვისებებზე.

ცალკეული ნაწილების შენევა:

ნების მასა მიაფრქვიეთ ზედაპირს მანქანური მეთოდით ვერტიკალურ ზოლებად (საერთო საკონტაქტო ფართობი ნებისთან $\geq 50\%$). ნების ზოლოვანი ფენა უნდა იყოს 5 სმ. სიგანის და მინიმუმ 1 სმ. სისქის. ცენტრებს შორის მანძილი მაქსიმუმ – 10 სმ. აუცილებელია ფილები დაუყოვნებლივ დაიფაროს ახალი ნების ხსნარით. ნებო უნდა დაიტანოს იმ რაოდენობით, რამდენიც საჭიროა მოცემული ფილისთვის. თბოსაიზოლაციო ფილების შენეებისას წარმოქმნილი მცირე დეფექტები შესაძლებელია გასწორდეს იმავე ნებოთი. შეერთებული ფილები შენეებისას კარგად უნდა მიეზვინოს ერთმანეთს და წაესვას ნებო ქვემოდან ზევით. არ წაუსვით ნებო შეერთების ადგილებში. სამუშაოების გაგრძელებამდე საჭიროა მინიმუმ 48 საათი.

არმირებული ფენა:

შენობის კუთხეებში და ფანჯრის ღიობებში კუთხეების დამცავი პროფილის Capatect- Eckshutze და ფასადის ღიობების კუთხეებზე დიაგონალური ჩანართების გავითების შემდეგ, აუცილებელია არმირების მასა დაიტანოს ფილებზე ქსოვილის მთელი სიგანის გათვალისწინებით და Capatect-Gewebe 650, 10 სმ - ის გადაფარვით, მცირე დანაზღვრით დააფიქსირეთ მასში. რის შემდეგაც ქსოვილის მთელი ზედაპირი უნდა დაიფაროს "სველი-სველზე" მეთოდით. მასალა შესაძლებელია დაიტანოს როგორც ხელით, ასევე მანქანური მეთოდით. არმირებული ფენა უნდა იყოს თანაბარი სისქის. შუმა-ბადე უნდა იყოს ფენის შუაგულში, ან მის ზედა მესამედში.

ფენის სისქე:

პენოპოლისტიროლის ფილებისთვის 3-7 მმ.

მინერალური ბამბის ფილებისთვის 4-7 მმ.

ბათქაშის ზედა შრე:

ზედაპირის შენევის ხარისხიდან და ატმოსფერული პირობებიდან გამომდინარე, დატანისა შეიძლება საჭირო გახდეს Sylitol-Konzentrat 111-ის საგრუნტავი ფენის დატანა. გახეხილი ზედაპირის მისაღებად არსებულ მასალაზე (მინერალური არმირებული ფენა, ან PII ჯგუფის ბათქაშები) უნდა დაიტანოს Capatect ArmaReno 700-ის 2-3 მმ. სისქის ფენა. მასალის გამყარების პროცესში შესაძლებელია ზედაპირი დამუშავდეს სველი ფილით, ან ღრუბლით.

მითითება:

როდესაც საჭიროა მინერალური ბამბის (Capatect-MW-Fassademdämmplatten 119, Capatect- MW-Fassademdämmplatte 149 EXTRA, Capatect-LS-Fassademdämmplatten VB 101), ან ქაფპოლისტიროლის (Capatect-PSFassademdämmplatten) ელასტიფიცირებული თბოსაიზოლაციო სისტემების მიღება ფილირებული (გახეხილი) ზედაპირებით, არმირების ფენასთან ერთად უნდა გაძლიერდეს ბათქაშის ზედაპირული ფენაც. ამისათვის ჯერ უნდა დაიტანოს 2-3 მმ. Capatect ArmaReno 700, შემდგომ - მსუბუქი ფენით - შუმა-ბადე Capatect-Gewebe და გამაგრების შემდეგ განმეორებით - Capatect ArmaReno 700-ის 2-3 მმ. სისქის ფენა. ამ უკანასკნელის გამაგრების შემდეგ კიდევ ეთხელ - Capatect ArmaReno 700 იმავე სისქით. გახეხეთ (ფილირით) გამყარების პროცესში. აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ ფილირების პროცესში, შემკვრელის მკვრივი ჩანართების დაგროვების გამო, არ არის გამორიცხული მცირე ნაპრალების გაჩენა ფილის ზედაპირზე. ეს ფაქტი არ წარმოადგენს უარყოფით ნაკლოვანებას.

ახალი ბათქაშები უნდა დაიფაროს სრული გაშრობის შემდეგ, როგორც წესი, მინიმუმ 2 კვირაში, ჰაერის 20°C-ტემპერატურის და 65% ტენიანობის პირობებში. არახელსაყრელი ამინდის დროს შრობის ხანგრძლივობა იზრდება. დამატებით CapaGrund Universal-ის ფენა ამცირებს გახეხების რისკს და შესაძლებელს ხდის დამასრულებელი ფენების დატანას ThermoSan, ან AmphiSilan-ის მასალებით უკვე 7 დღეში.

ტექნიკური ინფორმაცია N. 700

სარემონტო ხსნარი:

ობიექტის თვისებებიდან გამომდინარე, Capatect ArmaReno 700 შეიძლება გამოყენებულ იქნას:
- ცალკეული დეფექტების დასამუშავებლად;
- ძველი სტრუქტურული ბათქაშების დასაგოზავად და გასასწორებლად;
- ბათქაშისა და აგურის წყობის სარემონტო ზედაპირების სრული დამუშავებისათვის.

რეკომენდირებულია შუბა-ბადის-ის გამოყენება. მასალა შეიძლება დავიტანოთ ხელით, ან მანქანური წესით.

თხელფენიანი ადჰეზიური ბათქაში:

სწორი ზედაპირის ბეტონზე, ქაფპოლისტიროლის - XPS/R და ხე-ბოჭკოვან ფილებზე დაიტანება Capatect ArmaReno 700, 5 მმ. სისქის ფენა, შემდეგ ხდება მისი დამუშავება კბილანა ქაფით და საოიანი ფაქტურის მისაღებად გახეხვა ჯაგრისით. გამყარების დრო შემდგომი ფენის დატანამდე - თითო დღე ფენის სისქის თითოეულ მმ-ზე.

ხარჯი

შენიშვნა:

საიზოლაციო ფილები პენოპოლისტიროლისაგან, დაახლ. 3,5 – 4,5 კგ/მ²
საიზოლაციო ფილები მინერალური ბამბისაგან, დაახლ. 4,0 – 5,0 კგ/მ²

არმირების ფენა:

დაახლოებით 1,3 – 1,5 კგ/მ², 1 მმ სისქის ფენაზე.

სარემონტო ხსნარი და ადჰეზიური ბათქაში:

დაახლოებით 1.6 კგ/მ² 1 მმ სისქის ფენაზე

ფილცირებული ზედაპირული ბათქაში:

დაახლოებით 4,0 – 4,5 კგ/მ², 3 მმ სისქის ფენაზე.

მოცემული სიდიდეები პირობითია. აუცილებელია გაითვალისწინოთ ობიექტის და გამოყენების თავისებურებებიდან გამომდინარე ცდომილებები.

გამოყენების პირობები

დამუშავების და შრობის ფაზაში გარემოს და ზედაპირის ტემპერატურა არ უნდა იყოს +5°C-ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს +30°C-ს. არ გამოიყენოთ მზის პირდაპირი სხივების ქვეშ, ძლიერი ქარის, ნისლის და ჰაერის მაღალი ტენიანობის დროს

შრობის დრო

ჰაერის 20°C ტემპერატურისა და 65%-იანი ტენიანობის პირობებში და ფენის სისქიდან გამომდინარე, ზედაპირი მშრალია დაახლოებით. 3 - 7 დღეში (დაახლოებით 1მმ დღეში).
არმირებული ფენა მშრალია 24 საათში.

ხელსაწყოების დასუფთავება

გამოყენების შემდეგ ხელსაწყოები განმინდეთ წყლით.

მასალის მომზადება

Capatect ArmaReno 700-ს შერევა შესაძლებელია ნებისმიერი უწყვეტი მოქმედების შემრევიტით, შეეკური მიმწოდებელი ტუმბოთი, ბათქაშის მომრევი მანქანით, ან ხელის ზელმზრუნავი ძლიერი შემრევიტით. მშრალი ნარევი უნდა აირიოს სუფთა ცივ წყალში ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. შერეული მასა გააჩერეთ 5 წუთი და აურიეთ განმეორებით. საჭიროების შემთხვევაში მასალის კონსისტენცია შესაძლებელია არეგულიროთ წყლის მცირე რაოდენობით.
მასალის მომზადებისთვის საჭირო წყლის რაოდენობა: დაახლოებით 5-6 ლ. 25 კგ.-იან ტომარაზე.
არ დაამზადოთ მასალა იმ რაოდენობაზე მეტი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას 2-საათის განმავლობაში. ამინდის პირობების გათვალისწინებით, ხელით შერეული მასალის დამუშავების დრო წარმოადგენს დაახლოებით 2 საათს, მანქანური მოწოდების შემთხვევაში - მაქსიმუმ 60წთ-ს. არავითარ შემთხვევაში არ შეაზავოთ უკვე გამზარი მასალა წყლით.

მომრევი დანადგარის მაგალითი

უწყვეტი მოქმედების მომრევი Berö Calypso 15, სტანდარტული დოზირების, ან მომრევი ლილვით და მიმწოდებელი ტუმბო Speedy 15.

აუცილებლად დაიცავით მანქანის მწარმოებლის მითითებები!

კვების წყაროსთან მიერთება: 400 ვ. სამფაზიანი AC/16A (სამშენებლო სარქველი, უსაფრთხო გადამრთველი).

წყალთან დაკავშირება: % მილი GEKA-თი, საჭირო წყლის წნევა ჩართული მანქანისას მინიმუმ-2,5 ბარი.

წყლის ნაკადი: მისანებლად დაახლოებით 330 ლ/სთ, სასურველი კონსისტენციის რეგულირება შესაძლებელია მომრევის წყლის არმატურაზე მიმავრებული ზუსტი რეგულირების სარქველით.

მიწოდების შლანგები:

-საწყისი შლანგი - შიდა დიამეტრი 35 მმ., სიგრძე 13,3 მ./
-დაბაზოლოვებული შლანგი - შიდა დიამეტრი 25 მმ., სიგრძე 10,0 მ./

მიწოდების მანძილი: მიწოდების მაქსიმალური მანძილი - დაახ. 50 მ. (ობიექტზე არსებული პირობების გათვალისწინებით).

გამფრქვევი:

Ø 10 მმ.

მიწოდების შლანგები ექსპლუატაციამდე წინასწარ გამოივლოს კირიანი შლამით, ან კლეისტერით.

რჩევა: შრობის პროცესის განმავლობაში წვიმისაგან დასაცავად კარკასი აუცილებელია დაიფაროს ტენტით.

მიითითებები

უსაფრთხო გამოყენების წესები

ფხვნილს გააჩნია ტუტე თვისებები, იწვევს კანის გაღიზიანებას, აზიანებს თვალს. შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას. მტვერი არ შეისუნთქოთ. თვალბრუნვა ან კანთან კონტაქტისას სასწრაფოდ გაიწმინდეთ ცივი წყლით და მიმართეთ ექიმს. მუშაობისას იხმარეთ დამცავი ხელთათმანები და დამცავი სათვალე/ნიღაბი. გადაყლაპვის შემთხვევაში სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს და წარადგინეთ შეფუთვა, ან ეტიკეტი.

ნებართვები:

- Z-33.41-130
- Z-33.43-132
- Z-33.44-133
- Z-33.47-859
- ETA-10/0436
- ETA-10/0160

განკუთვნილია პროფესიონალური მოხმარებისთვის

შემადგენლობა: ცემენტი, პორტლანდი, ქიმიკატები, კალციუმის დიჰიდროქსიდი.

აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია, ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად (VOC) - 2004/42/EG დირექტივის მიხედვით <1 გ/ლ.

უტილიზაცია

გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი გამხმარი მასა შესაძლებელია უტილიზირებულ იქნას, როგორც სამშენებლო ნარჩენი.

Gis კოდი

ZP1

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შექმნა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით

შპს „კაპაროლ ჯორჯია“

აღ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო
ელ-ფოსტა: office@caparol.ge
www.caparol.ge